ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— ხუთშაბათი, 15 ივნისი 1900 წ. № 1152

**გაზეთი ღირს:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველდღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“—„Моамбе“.**
**ტელეფონი № 372.**

## „მოამბე“ 1900 წ. „ცნობის ფურცელი“

| (წელიწადი მეშვიდე) | (წელიწადი მეხუთე) |
|---|---|
| **გამოვა ყოველ თვის პირველ რიცხვებში.** | **გამოვა ყოველ დღე კვირა უქმეების შემდეგაც.** |
| ფასი ჟურნალისა გაგზავნით: | გაზეთის ფასი გაგზავნით: |
| 1 წლით 6 თვით 3 თვით | 1 წლით 6 თვით 3 თვით 1 თვით |
| 10 მანეთი 6 მან. 4 მან. | 6 მანეთი 3 მ. 50 კ. 2 მანეთი 75 კაპ |
| სამზღვარ გარედ წლიურად 13 მან. | სამზღვარ გარედ წლიურად 7 მანეთი. |

**წლიური ფასის შემოტანა შეიძლება განაწილდეს:**

| | |
|---|---|
| პირველად 5 მან., 1-ლ აპრილამდე 3 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 2 მ. | პირველად 3 მან., 1-ლ აპრილამდე 2 მ. და 1-ლ სექტემბრამდე 1 მ. |

**ვინც „მოამბე“-ს ერთისწლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი“ უფასოდ დაეთმობა გამოწერის დღიდან**

**წლიური ფასი განაწილდება: 5 მან. პირველად, 1-ლ აპრილამდე 3 მან. და 1-ლ ოქტომბრამდე 2 მანეთი**

| | |
|---|---|
| **ჟურნალში ყოველ თვე დაიბეჭდება, სხვათა შორის, შინაური და უცხოეთის მიმოხილვა.** | **გაზეთში იმავე დღესვე დაიბეჭდება დეპეშები, ქრონიკა (ახალი ამბავი) და სხვ.** |

განცხადების ფასი: პირველ გვერდზე სტრიქონი 10 კ. მეოთხეზე—5 კ.
**თუ განცხადება 3-ჯერზე მეტი დაიბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ეღირება.**
ადრესი რედაქციისა: **Тифлисъ, въ редакцію „Моамбэ“ и „Цнобисъ-Пурцели“.**

## მთავრობის განკარგულებანი

გადასახადთა ინსპექტორი რაჭის მაზრისა გუბერნ. სკრ. ნოდია გადაყვანილ იქმნა ლეჩხუმის მაზრის ინსპექტორად.

ქ. ტფილისის მე-3 განყოფილების მომრიგებელ მოსამართლე სტ. სოგწინამძღვარიშვილი დათხოვნილ იქმნა სამსახურიდან ნოტარიუსად დანიშვნის გამო.

## ახალი ამბავი

✦ დღეს, 15 ივნისს, საღამოზე ტფილისში ჩამოვა მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის ამხანაგი გოფმეისტერი ბ-ნი **სტევენი**, რომელიც „ლონდონის“ სასტუმროში ჩამოხტება.

✦ ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელი პოლკოვნიკი **სვეჩინი** სამშაბათს, 13 ივნისს, საღამოს მატარებლით გორის მაზრიდან დაბრუნდა ტფილისში.

✦ ტფილისში გუშინ წინ მოვიდა საერო განათლების მინისტრის ამხანაგი ბ-ნი **ზვერევი**. ამ დღეს ის მიდის აბასთუმანს, სადაც განზრახვა აქვს მთელი ზაფხული დაჰყოს.

✦ საერო-განათლების მინისტრის ამხანაგმა ტ. ს. **ზვერევმა** გუშინ, შუადღისას, დაათვალიერა ტფილისის სახელოსნო სასწავლებელი. სასწავლებელში დაუხვდა ქალაქის თავი, სასწავლებლის ინსპექტორი და ზოგიერთი მასწავლებელნი. მინისტრმა ყურადღებით დაათვალიერა სახელოსნო და შეგირდების მიერ გაკეთებული ნივთები.

✦ მარგანეცის მწარმოებელთა მესამე **კრება**, რომელიც უნდა შემდგარიყო 19 ივნისს კავკასიის სამთო მმართველობის უფროსის თანაშემწის, ს. ს. ჩენგერის, თავმჯდომარეობით, გადაიდვა 26 ივნისისათვის.

✦ ქ. ქუთაისში, ოზურგეთში, დაბა ზუგდიდში და სამტრედიაში მეაბრეშუმეობის და თუთის მოშენების გამოფენა-კონკურსი, ადგილობრივ კომიტეტის დადგენილობათა თანახმად, გაიმართება ოზურგეთში ხუთშაბათს, 22 ივნისს, ზუგდიდში კვირას, 25 ივლისს, სამტრედიაში სამშაბათს, 27 ივნისს და ქუთაისში 2 ივლისს. აბრეშუმის პარკი გაუმშრალი 2—3 გირვანქამდე და გამომშრალი 1 გირვანქა ოზურგეთში უნდა წარედგინოს გამოფენის კომიტეტის მდივანს მ. ა. თუმანიშვილს, ზუგდიდში გამოფენის კომიტეტის თავმჯდომარეს კეგამოვს; სამტრედიაში—მდივანს ნ. ტ. მკურნალს და ბოქაულს ა. მახარაძეს და ქ. ქუთაისში—კომიტეტის მდივანს, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორს, ნ. ვ. მიტოროევსკის.

✦ ტფილისში ამბავი მოსულა, რომ საქართველოს ეგზარხოსი **ფლაბიანე ინიშნება მიტროპოლიტად** და გადაყვანილ იქმნება რუსეთშიო.

✦ ამიერ-კავკასიის რკინისგზების მატარებელთა მიმოსვლის გამგეთ, ბ. იზმაილოვის მაგიერ, დანიშნეს ვისლის მხარის რკინის გზების მოხელე **ბ. გერხოვსკი.**

✦ სამშაბათს, 13 ივნისს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ, როგორც გადმოგვცეს, დაამტკიცა საზოგადოებასთან დაარსებული [illegible] საბჭო იწვევს იმ პირს, რომელიც მოისურვებს დაიჭიროს სტატისტიკოსის ადგილი; ჯამაგირად დაენიშნება 1,200 მან. წელიწადში. მსურველმა განცხადება უნდა გაგზავნოს ან ხსენებულ სამეურნეო საზოგადოების საბჭოში, ან წარუდგინოს ბიუროს თავმჯდომარეს ბ-ნ გლასსეკს

✦ ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა **შირგვლი ამხანაგობა**, გასაადვილებლად თავის წევრებისათვის მეაბრეშუმეობის ნაწარმოებთა გასყიდვისა, აარსებს ამ ჟამად განყოფილებებს და საწყობებს პარკის მისაღებად ქუთაისის გუბერნიის შემდეგ სოფლებში: კუხში, ხონში, მარხოჯში, დიდჯიხაიშში, მაღლაკში და ფარცხანაყანევში. თუ საქმე კარგად წავიდა, მერმისს ამგვარსავე საწყობებს გახსნიან სხვა სოფლებშიაც.

✦ ფინანსთა სამინისტრო შესდგომია ერთ **ფრიად საყურადღებო პროექტის შედგენას**, სახელდობრ: თუ როგორ უნდა იქმნან გაუმჯობესებული სასოფლო სამეურნეო ნაწარმოებთა ვაჭრობის პირობები.

✦ ბორჩალოს მაზრის სოფლებ კურტლიარში, ბანდარშიგიაურხში, კარაბულაღში, ტფილისის მაზრის დალეთში, სამშვილდოში, წინწყაროში, ალგეთისხევში დურნუკამდე **საშინელი სეტყვა** მოსულა, რომელმაც გაანადგურა სრულიად ყანები და სათიბები.

✦ როგორც გადმოგვცეს, ექიმი **მიხ. გედევანიშვილი** ამ მოკლე ხანში პარიზში მიდის, რათა დაესწროს იქ პსიხიატრთა საერთაშორისო კონგრესს, გარდა ამისა, ბ-ნ გედევანიშვილს განზრახვა აქვს დაათვალიეროს საზღვარ-გარედ საუკეთესოდ მოწყობილი საავადმყოფოები სულით-ავადმყოფთათვის.

✦ ჩვენ თავის დროზე ვაცნობეთ მკითხველთ, რომ ქალაქების **საკრედიტო საზოგადოებათა** ოპერაციების გაძლიერებას აპირობენო. ეხლა კიდეც გამოცხადდა განკარგულება, რომ ამ გვარ საზოგადოებათ ნება ეძლევათ გასცენ [illegible] სადაც დაარსებულნი არიან, არამედ გუბერნიის სხვა ქალაქებშიაც.

✦ გამოვიდა მესამე ტომი ოფიციალურის გამოცემისა „გრძელვადიან კრედიტის სტატისტიკა რუსეთში“. ამ გამოცემაში მოთავსებულია ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენი **ვალი ადევს რუსეთში ადგილ-მამულს**, ცალკ-ცალკე თითოეულს გუბერნიაში,—ვალი, რომელიც პატრონთ ჰმართებთ სახელმწიფო და კერძო საკრედიტო დაწესებულებათა. ამ ცნობებიდან სჩანს, რომ 1898 წელს მთელის რუსეთის კერძო მემამულეთ ჰმართებდათ ყველა ბანკებისა—1.468.930,876 მანათი; სულ დაგირავებულია 67 გუბერნიაში 119.280.496 დესეტინიდან 44%. ყველაზედ ნაკლებ დაგირავებულია ადგილ-მამულები კავკასიის გუბერნიებში და ჩრდილოეთ-რუსეთში; ყველაზედ მეტად კი—რუსეთის ცენტრალურ, სამხრეთ, ვოლგისა და ბალტიის მხრის გუბერნიებში.

✦ გარდაიცვალა ტფილისის სამაზრო ექიმი სტ. სოვ. მ. ი. **სულხანიშვილი.** გარდაცვალებული თითქმის 40 წელიწადი ემსახურებოდა ხალხს, როგორც გულკეთილი და დაუღალავი ექიმი.

✦ ტფილისის ქართველ ექიმთა მცირე გუნდს კიდევ მიემატა ერ-

თი ახალგაზდა ექიმი გას. წერეთელი, რომელმაც შარშან დაასრულა საექიმო ფაკულტეტი კიევის უნივერსიტეტში.

✦ „ივერია“-ს შეუტყვია, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს დაუმტკიცებია წესდება **ხელოსანთა ამხანაგობის „შრომისა“** და წარმოუგზავნია ტფილისის გუბერნატორისათვის დანიშნულებისამებრ გარდასაცემად. ამ წესდებას ამ ახლო ხანებში გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს.

✦ **სამაზრდ-მოქმედო სამინისტროს გაუგზავნია:** აგრონომი მორევი დასავლეთ ევროპაში და ალჟირში პურის სხვა-და-სხვა თესლისა და კულტურის გასაცნობათ და განჯის სახელოსნო სასწავლებლის მასწავლებელი დრაკოპული მცირე აზიაში ლელვის მოშენებისა და გახმობის შესასწავლად.

✦ შაბათს, 10 ივნისს, სოფ. ქარელში გამართული იქმნა საცეკვაო საღამო სოფ. ოქონის, კნოლევისა და ავლევის სეტყვისაგან **დაზარალებულ გლეხთა სასარგებლოდ.** შემოვიდა 600 მანეთამდე.

✦ ხვალ, პარასკევს, საღამოს 8 საათზე, დანიშნულია კრება ქალაქის სამრეწველო კომისიისა, რომელიც განიხილავს სხვა-და-სხვა პირთა თხოვნებს შესახებ მასწავლებლის ადგილებზე ჩარიცხვისა.

✦ ტფილისის საზაფხულო ტეატრში წარმოდგენებს მართავენ მოლდორისეულ დასის არტისტები, რომელთაც მოლდორისის ცხოვრებიდგან აღებულ კარგ შინაარსიან დრამა-კომედიების მოხდენილად წარმოდგენით მალე იმდენად დაიმსახურეს საზოგადოების ყურადღება, რომ თითქმის ყოველს წარმოდგენაზე აუარებელი ხალხი ესწრება. განსაკუთრებული საზოგადოების ყურადღება დაიმსახურეს დრამატიულ როლების აღმასრულებელმა მ. დიე-კასამ, ბ-ნ ა. ლ. სუხოდოლსკიმ და ბ-ნმა საბინინმა. ბ-ნი საბინინი როგორც დრამატიულსა, აგრეთვე კომიკურს როლებში ყოველთვის თავისუფლად ჰგრძნობს ხოლმე თავს და ზოგიერთ დრამატიულს როლებს ისე ხელოვნურათ ჩაატარებს ხოლმე, რომ მაყურებელს სრულს თავდავიწყებამდე იტაცებს და თანაგრძნობით ცრემლებს იწვევს მაყურებლებში. დღეს, 15 ივნისს, დანიშნულია ბ-ნ სუხოდოლსკის საბენეფისოდ მეორედ წარმოსადგენად: «ყიდოვკა—კოსტრესტკა.»

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**13 ივნისი**

**პეტერბურგი.** ვიცე-ადმირალის ალექსეევის დეპეშა სამხედრო მინისტრს პორტ-არტურიდან 9 ივნისს გამოგზავნილი: „მივიღე მოხსენება პოლკოვნიკის ანისიმოვისა ტიანცზინიდან, გამოგზავნილი 6 ივნისს. მოხსენებიდან სჩანს, რომ ჩვენი ჯარის მდგომარეობა ძლიერ საშიშია. გზა შეკრულია. ჩინელთა ბრბო გარს შემოერტყა ტიანცზინს და დიდის ზარბაზნებით ესვრის მას ყუმბარებს; ევროპიელთა ჯარს დიდი ზარალი მოსდის. მოკლული და დაჭრილია 7 ოფიცერი და 150 ჯარის კაცი. პატრონები და ყუმბარები ევროპიელთ ცოტა-ღა დარჩათ. ტაკუსაკენ გზის გაკაფვა და ქალებისა, ბავშვების და დაჭრილთა გადაყვანა მეტად ძნელია; რკინის გზა სრულიად გაფუჭებულია. ეს მოხსენება ბედნიერ შემთხვევის წყალობით მივიღე. გენერალმა ოტესელმა ანისიმოვის რაზმის გამოსახსნელად გაგზავნა მთელი ის ჯარი, რომელიც მის ხელქვეით იყო. დღეს, 8 ივნისს, გემებიდან ზარბაზნების გადმოღების შემდეგ, აპირებენ ახალის მეშველის ჯარის გაგზავნას ტაკუდან, სადაც დატოვებულ იქმნება მხოლოდ პატარა რაზმი. საქმეთა საშიში მდგომარეობა მაიძულებს მე მივიღო სასტიკი ზომები; მე არ ვუცდი ვლადივოსტოკიდან ჯარის მოსვლას და დღესვე ღამით ვაგზავნი ერთ ბატალიონს მეათე პოლკისას“.

**ლონდონი.** კრეისერი „ტერრიბლ“ მივიდა ტაკუში.

**პარიზი.** დელკასემ მინისტრთა საბჭოს სხდომაზე წაიკითხა შანხაიდან მოსული დეპეშა, რომლითაც კონსული იტყობინება, რომ იანცეს სამხრეთით და სიჩუანში ყოველივე მშვიდობიანად არის; ტიანცზინში საქმეთა მდგომარეობა საშიშია; პეკინიდან არავითარი ცნობა არ მოსულა; შანხაიში სდგას 11 ჩინელი სამხედრო გემი.

**კაპშტადტი.** დევეტის რაზმი ჯერ კიდევ მხნედ მოქმედობს. შაბათს მან გზა მოუჭრა ინგლისელთა მოწინავე რაზმს, კრონშტადტსა და მონინგსპრიუტის შუა. დევეტი თავს დაესხა გამაგრებულ ბანაკს შროპშირის და კანადის პოლკებისას გონინსპრიუტის სადგურთან; შეაჩერა სამხრეთისაკენ მიმავალი სამხედრო მატარებელი და გააფუჭა რკინის გზის ლიანდაგი ჩრდილოეთით და სამხრეთით. ვატერვალიდან მოსულნი განთავისუფლებულნი ინგლისელი ტყვეები დაეხმარნენ სამხედრო მატარებელს; ასტყდა საშინელი ბრძოლა, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა. როდესაც კრონშტადში მოვიდა მომშველი ჯარი, ბურებმა უკან დაიწიეს. ინგლისელთ მოუკლეს 1 ოფიცერი და 3 ჯარის-კაცი; დაუჭრეს 1 ოფიცერი და 16 ჯარის-კაცი.

**დარმშტადტი.** დიდი მთავრინა ელისაბედ თეოდორეს ასული მივიდა ვოლფგარტენში.

**ფრანცესბადი.** დიდი მთავარი სერგეი ალექსანდრეს ძე წავიდა აქედან.

**ბერლინი.** გერმანიის კონსული დეპეშით იტყობინება ჩიფუდან, რომ სეიმური და მასთან ელჩები იმყოფებიან ტიანცზინიდან 20 კილომეტრის სიშორეზე; მათ მეტად ავიწროებს „დიდი მუშტი“. გუშინ გაგზავნილი მაშველი ჯარი გავიდა ტაკუდან 11 ივნისს.

**ნიუ-იორკი.** კემპფი დეპეშით იტყობინება ჩიფუდან, რომ მას ცნობა მოუვიდა, ვითომც ევროპიელთა შეერთებული

## სამეცნიერო ცნობა

(ყვავილის აცრა და დ—რი ჯენნერი)

I

თუ კი ვისმეს შეუძლიან დაიქადოს ქვეყნის წინაშე, რომ კაცობრიობის საკეთილდღეოდ თავი დამიდვია და უმეცარი ხალხის სწორსა და ნათელ გზაზე დაყენებისათვის სიცოცხლე შემიწირავსო,—მათ შორის ჯენნერსაც იგივე შეუძლიან თამამად დაიქადოს. თუ ერთისა და ორის სახელი დიდებით იხსენიება ამ ქვეყანაზე, მათ შორის დოქტორი ჯენნერისაც. მისი შრომა და ღვაწლი კაცობრიობის წინაშე დაუფასებელი და შეუდარებელია: იგი თითქოს განგებამ გამოგზავნა ქვეყნად, რომ კაცობრიობის ტკივილს მალამოდ დაედე და მოშუშეო. ვინ იცის რამდენი ადამიანი სიკვდილს გადაარჩინა ჯენნერმა და ჯანის სიმრთელე დაუბრუნა!

აი საქმე რაშია. ჯენნერმა გამოიგონა ახალნაირი ყვავილის აცრა. იგი იმდენად სასარგებლოა და გამოსადეგი ადამიანისათვის, რომ სხვა გამოჩენილი კაცების გამოგონებას რომ დავადაროთ, მათი სახელი მასთან არაფრად გამოჩნდება. ჯენნერის ღვაწლი ბევრით არაფრით ჩამოუვარდება ქრისტეფორე კოლუმბის აღმოჩენას, გუტენბერგის გამოგონებას და სხვ... ამიტომ მეტი არ იქნება ვიცოდეთ ამ შესანიშნავი კაცის ამბავი და დაახლოვებით გავაცნოთ მკითხველთ მისი ცხოვრება. ამასთანავე საჭიროა ვიცოდეთ, თუ რა უბედურებასა და ზარალს აძლევდა ყვავილი ძველ დროში უმეცარ ხალხს. ახლა, როცა ყვავილის აცრა ასე გავრცელებულა, ჩვენ არც კი შეგვიძლიან ამის წარმოდგენა. მაშინ კი ამ საოცარი სახადისაგან მთელი მაზრები და მთელი სოფლები იღუპებოდნენ; ასობით და ათასობით უსპობდა იგი სიცოცხლეს მცხოვრებლებს და სამუდამოდ ასალმებდა ამ წუთისოფელს. ყვავილი მოულოდნელად, უეცრად ჩნდებოდა: უცებ, თითქმის ყოვლად უმიზეზოდ, რამოდენიმე კაცი ჩაწვებოდა ლოგინად; მერე სახადი თან-დან-თან ძლიერდებოდა და ფეხს იკიდებდა ხოლმე. გამოაჩნდებოდა იგი ვისმეს თუ არა, შეშინებული ხალხი მაშინვე აქეთ-იქით გარბოდა თავშესაფარად. ამით იგი უფრო ხელს უწყობდა სახადის გავრცელებას, რადგან თავშესაფარად გავარდნილს ადამიანს თან გაჰქონდა ყვავილიც ერთი ადგილიდან მეორეზე. საკმაო იყო ადამიანი შეჰხებოდა ყვავილიანს ავადმყოფს, რომ იგი გადასდებოდა მას. განსაკუთრებით ეს სახადი ბავშვებს დაერეოდა ხოლმე.

ყვავილს, როგორც სახადს, სულ ძველადაც იცნობდნენ. ამას ცხადად ამტკიცებენ ძველი მწერლების ნაწერები; მათში ხშირად შეხვდებით ერთნაირი გადამდები სახადის აღწერას და, როგორც ნიშნებზე ეტყობა, იგი ყვავილი უნდა იყოს.

აი მაგალითად, ბერძნების მეისტორიე ფუკიდიდი თავის ისტორიაში—„პელეპონეზის ომის შესახებ“—იხსენიებს ერთნაირ სახადს. სხვათა შორის იგი ამბობს: „თითქმის ყოვლად უმიზეზოდ ადამიანი ხდებოდა ავად: თავი უხურდებოდა, თვალები აენთებოდნენ და უწითლდებოდნენ; სისხლი სდიოდა სასიდან და ენის წვერიდან და პირი უყარდა; შემდეგ შეამცივნებდა ხოლმე და ტანზე გამოჰყრიდა, გული და კუჭი სტკივოდა, პირს აღებინებდა, გული უწუხდებოდა და ბევრს კი სლოკინი აუვარდებოდა ხოლმე. ავადმყოფისათვის რომ გარედან შეგეხედნათ, ვერც სიცხეს შეატყობდით და ვერც ფერის სიმკრთალეს. ზოგს კი ტანი დაუწითლდებოდა და დაულურჯდებოდა ხოლმე; ავადმყოფი სრულიად სისუსტეს არა გრძნობდა, მაგრამ მაინც მეშვიდე ან მეცხრე დღეზე სულს განუტევებდა ხოლმე. ვინც ამ ვადას გადასცდებოდა, მას სამაგიეროდ მერე მოერეოდა გულ-ღვიძლის ანთება და ვინც სრულიად ხელიდან დაუძვრებოდა სიკვდილს, მას ხომ უსათუოდ შერ-

ჯარი, მცირე ბრძოლის შემდეგ, შევიდა ტიანცზინს. ევროპიელთ ბევრი მოუკლეს და დაუჭრეს. შემდეგ რაზმი წავიდა სეიმურის დასახმარებლად.

როგორც იაპონიის წყაროები ირწმუნებიან, სეიმური ტყვედ წაიყვანეს ჩინელებმაო; ხოლო უცხოელთა ელჩები გაიყვანეს ქალაქიდან და არავინ იცის, სად არიან.

**ბერლინი**. გერმანიის ახალშენმა ჰონკონგში სთხოვა დეპეშით იმპერატორს, რომ მას მიეცეს ნება დახმარება აღმოუჩინოს გაჭირვებაში მყოფ ინგლისელთ. იმპერატორმა ნება დართო.

გერმანიის გუბერნატორის დეპეშა იცნობება, რომ სეიმურის რაზმი შევიდა პეკინში.

**შანჰაი**. ტაკუში გემებიდან გადმოსხეს 8000 ევროპიელი მეომარი, მათ შორის 1200 გერმანელი. ტიანცზინის გასანთავისუფლებლად კიდევ წავიდა 300 მსროლელი და 900 ინდოელი ჯარის-კაცი.

**ჩიფუ**. აქ მოსულ ცნობებიდან სჩანს, რომ 3000 ჩინელი მივიდა ტაკუდან ტიანცზინს „დიდი მუშიტისა“ და ჩინელ რაზმისათვის დახმარების აღმოსაჩენად.

**ჰონგკონგი**. მაკაოში მყოფი ჯარი საომრად იქმნა გამზადებული. მაკაოს გუბერნატორმა თოფ-იარაღი გაუგზავნა პორტუგალიელთ კანტონში, სადაც ქუჩებში გამოაკრეს უცხოელთა საწინააღმდეგო აფიშები.

**შანჰაი**. ინგლისის კრეისერი „ტერრიბელ“ მივიდა ტაკუში.

ამბობენ, რომ 800 ინდოელ ჯარის-კაცსა და 200 მსროლელს გზა გაუკაფავთ და შეერთებიან გერმანელთა, რუსთა და ამერიკელთა ჯარს, რომელსაც ორი დღის წინად გზა მოუჭრეს ჩინელებმა ტიანცზინიდან 9 მილის სიშორეზე.

### პეტერბურგის ბირჟა 13 ივნისს.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მ ა | ნ ე | თ ი |
| 4⁰/₀ სახელმწიფო რენტა. . . . | 98 | — | — |
| 4½⁰/₀ შინაგანი სესხი 1893 წ. | — | — | 100 |
| 4⁰/₀ გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა. . | — | 98⅞ | — |
| 5⁰/₀ 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.. | — | — | 307½ |
| 5⁰/₀ მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.. | — | — | 262¼ |
| 5⁰/₀ გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა . . . . . | — | — | 204 |
| 3½⁰/₀ გირავ. ფურ. იმავე ბანკისა. . | 90 | — | — |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5⁰/₀ გირავნ. ფურცლ.. | — | 98 | — |
| 4½⁰/₀ გირავნობ. ფურცლ. იმავე ბანკისა . . . . | — | — | 87 |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის 6⁰/₀ გირ. ფურცლ. . . . | — | 102 | — |
| 5⁰/₀ გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა... | — | 99 | — |
| 5⁰/₀ ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. . . | — | 98 | — |
| 4½⁰/₀ ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა .. . . | — | 90 | — |

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

# გამოსადეგი ცნობანი

### ნ ი ხ რ ი

| | | | |
|---|---|---|---|
| ხორცი ძროხისა . | 1 გ. | 10 კ. | |
| სუკი . . . . . . | » | — 15 კ. | |
| » ცხვრისა . . . | » | — 8½ კ. | |
| » ღორისა . . . | 1 | — 8 კ. | |
| » კამეჩისა » » | » | — 8 კ. | |
| » ღორის ბარკალი სალორეთი . | 1 » | —10 კ. | |

(ძროხისა და ცხვრის ხორცს იის ფერი ბეჭედი აძევს, კამეჩს—მწვანე, ღორს—დამღა).

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პური ფქვილისა | I | ხარ. | 1 გ. | 5 | კ. |
| » » | II | » | » | » 3½ | » |
| » » | III | » | » | » 3 | » |
| იგივე ოთონისა | I | » | » | » 5 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |
| » » | III | » | » | » 3½ | » |
| ლავაში ჯუგ. მამ. | I | » | » | » 6 | » |
| » » | II | » | » | » 4 | » |

### ტფილისის ბაზრები:

გაიყიდა მეიდნებზე: კოკზადზე,

| | საჯ. | ფუთი. | მ. კ. | მ. კ., |
|---|---|---|---|---|
| ხორბალი | 1 | 1 | 30 | 1 20 |
| ხორ. წითელი. . . | 1 | 1 | 15 | — |
| ქერი . . . . . . | 1 | 1 | 1—5— | |
| სიმინდი . . . . | 1 | — | 80— | — |
| ფქვილი სოფლისა. | 1 | 1 | 20— | — |
| » უფრო მდარე. | 1 | 1 | 10— | — |
| კომბოსტო. . . . | 1 | — | 60— | — |
| კარტოფილი. . . . | 1 | — | 60— | — |
| ხახვი . . . . . | 1 | — | 50— | — |
| თივა . . . . . . | 1 | — | 30— | — |
| ბზე. . . . . . . . | 1 | — | 28— | — |

შეშა რცხილისა 1 სრული საჟ. საწყობებში 38 მ., შეშა ნარევი 36 მ. ცხვარი თუშისა 3 მ. 50 კ.-დან 4-მდე, ცხვარი თათრული 3 მ. კაპეიკიდან 4 მ. 60 კ.-მდე, ძროხა და ხარი აქაური საკლავი 22 მ.-დან 45 მ.-მდე, ხარი შესაბმელი, 40 მ. კამეჩი 60 მ. კამეჩი საკლავი 26 მ.-დამ 34 მ.

### რუსეთის ბაზრები:

ფქვილი როსტოვში.

| ხარისხი. | | ხარისხი. |
|---|---|---|
| № 0—9 მ. 25 კ. | | № 4—7 » 25 » |
| № 1—8 » 50 » | | № 5—7 » — » |
| № 2—8 » — » | | № 6—6 » 75 » |
| № 3—7 » 50 » | | № 7—6 » 25 » |

სიმინდი (ნოვოროსსიაში) 1 ფ. 54 კ. 41 კ. ქერი როსტოვში 66 კ. 62 კ.-მდე ნოვოროსსიაში 68 კ. 69 კაპიკამდე.

მოტანა ტფილისამდე 1 ფ. 87 კ.

შაქარი იქვე ფუთი 5 მან. 70 კ.

„ფშხვნილი „ 4 „ 80 „

მატყლი ისპანიური, თეთრი ფ. 10 მ.—11 მ. 85 კ., მატყლი 10⁰/₀ შავ-ნარევი — ადგილობრივი—3 მ. 50 კ.—4 მ. 10 კ., გარეცხილი 8 მ. 37 კ. ისპანიის ჯიშის ცხვრის ტყავი თითო 2 მ. 60 კ.-მდე.

### სააგადმყოფოები

**ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო**, მიხეილის ქუჩა, სახელმწიფო სახლი. ფასი საერთო ოთახში —12 მ. თვ. ცალკე ოთახში—60 მ. თვ.

**ქალაქის სამკურნალო**. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ასათუროვისა. რჩევა 30 კაპ. ღარიბთათვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

---

ჩებოდა ხელებსა და ფეხებზე მისი ნიშნები. ხშირად იგი მხედველობასაც უსპობდა ადამიანს, მაგრამ ერთხელ მოხდილს, მეორედ აღარ შეეყრებოდა იგივე სახადი. ამ ნაირად მშვიდობით გადარჩენილს ბედნიერ კაცს ეძახოდნენ“.

ამისთანა გადამდებს სახადს რომაელების მეისტორიე ტიტი ლივიუსიც იხსენიებს. იმის თქმით, ეს სახადი ერთ ნაირად მუსრავდა როგორც ადამიანს, ისე შინაურს ცხოველებსაო.

ამ გვარი სახადის შესახებ არაბეთის ექიმებსაც ჰქონიათ ზოგიერთი ცნობები, რომელთაც თვის საწინააღმდეგოდ არავითარი საშუალება არა სცოდნიათ, მაგრამ იმაში კი დარწმუნებული ყოფილან, რომ ხელმეორედ ეს სახადი არავის შეხვდებაო.

ამ ნაირად სცნობდნენ სულ ძველად ყვავილს. შემდეგ, რაც უფრო დრო გადიოდა, მას ყველა ადვილად ცნობილობდა და სხვა სახადისაგან ადვილად არჩევდა. ახლა ყველამ შეიტყო, რა შვილიცა ბრძანდებოდა ყვავილი, და ამიტომ ყოველი ღონისძიება იხმარეს, რომ რაიმე საშუალებით ხელი შეეშალათ მის გავრცელებისათვის. მაგ. ავადმყოფებს და მრთელებს ერთი ერთმანერთს აცილებდნენ; იმ მხარეს, სადაც ყვავილი იყო გავრცელებული, გარშემო ყარაულებს შემოარტყამდნენ და სხვ.; ხან და ხან კი საბრალო ავადმყოფებს იმდენად გამოიმეტებდნენ, რომ ქალაქის ანუ სოფლის გარედ გადააწყვენდნენ სადმე შორს, დაუგდებდენ ცოტა საჭმელ-სასმელს და ღვთის ანაბარა მიაგდებდნენ ხოლმე, მაგრამ ამაოდ. ყვავილი მაინც თავისას არ იშლიდა: საცა ხელს მიაწვდიდა, სულ მუსრს ავლებდა ხოლმე საბრალო ხალხს. განსაკუთრებით ბევრი ხალხი იმსხვერპლა ყვავილმა წარსული საუკუნის ზოგიერთ წლებში და ამ საუკუნის დასაწყისს. მაგალითად, 1818 წელს ინგლისს საოცარი ზარალი მიაყენა ამ სახადმა. ხალხი ასობით და ათასობით იხოცებოდა. საავადმყოფოები სულ გამოტენილი იყო ყვავილიანებით. სახადი დღითი დღე მატულობდა. ყველა შეშინდა და შეფიქრიანდა. მართებლობამ თავი ვეღარ გაართვა ვერასფერს და გულზე ხელი დაიკრიფა, რადგან მისგან ნახმარი საშუალებანი სრულიად არ უდგებოდნენ სახადის შემცირებას.

წინედ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ყვავილი ხელმეორედ არავის შეხვდებაო და ეს ხშირად მართლაც ასეა. ხოლო ხან და ხან მოხდება ხოლმე, რომ იგი მეორედაც შეეყრება ადამიანს. საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკ მე-XV ყვავილი 14 წლისამ მოიხადა, მაგრამ 64 წლისამ ხელმეორედ იხადა ეს საოცარი სახადი. თავდაპირველად ექიმებს ფიქრადაც არ მოსდიოდათ მეფის ყვავილით ავადმყოფობა, მაგრამ ნამდვილად კი მეფეს ყვავილმა მოუსპო სიცოცხლე.

ამასთანავე ისიც უნდა ვსთქვათ, რომ თუმცა ყვავილი ყველას არ უსპობს სიცოცხლეს, მაგრამ ამ სენისაგან გადარჩენილს ადამიანს მთელს სიცოცხლეში შერჩება ხოლმე მისგან დაჩენილი ნიშნები. ვინ ვერ იცნობს ნაყვავილარს? ზოგს პირის სახე აქვს მისგან დასახიჩრებული, ხორცი აქა-იქ ამოგლეჯილი და ცხვირის ნესტოები და თვალის უბეები გამოჭმული; ზოგს ყურთასმენა აქვს ყვავილისაგან დაკარგული, ზოგს თვალთა ხედვა. ლონდონის „ბრმათა სამოწყალო სახლის“ ანგარიშიდან სჩანს, რომ ყველა იქაურ ბრმებთა შორის ¾ ს ყვავილს მოუსპია მხედველობა. ხან და ხან ყვავილი ფილტვებსაც გაუფუჭებს ხოლმე ადამიანს და სამუდამოდ აჭლექიანებს.

აქედან ეხლა ცხადია, რა მწუხარება და წვალებას აყენებდა ყვავილი ძველ დროში ადამიანს და რა დასაკლის აძლევდა ხოლმე იგი ცალკე სახელმწიფოს და ცალკე ოჯახობას!

(შემდეგი იქნება)

**ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:** ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერტეროვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

**კუკიისა**, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მელქუმოვისა. ექიმი ნ. კასუმოვი.

**ხარფუხისა**, ვორონცოვის ქუჩა, სახლი იედიგაროვისა. ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების **სამკურნალო**, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას. გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

**ქალაქის საავადმყოფო სულით-ავადმყოფთათვის.** უფასო—იმყოფება კოჯრის ქუჩაზე, ბარონესა ტიზენგაუზენისა და ეკუბოვის სახლში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ისტამანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულუღიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში სახლი გოლდლიუსტისა.

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

(მატარებელთა მიმოსვლა განწესრიგებულია პეტერბურგის საათის თანახმად, რომელიც 58 წუთით უკან არის ტფილისის საათზე.)

**სწრაფი მატარებელი № 1** ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 11 ს. 19 წ.; ბათუმშა ჩადის საღამოს 9 ს. 41 წ.

**სწრაფი მატარებელი № 2** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 11 ს. 18 წუთ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 9 ს. 30 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გამოდის ღამის 11 ს. 29 წ., ტფილისში მოდის საღამოს 5 ს. 34 წ.; ტფილისიდან ბათუმში გადის საღამ. 6 ს. 34 წუთ., ბათუმში მიდის დილის 7 ს. 14 წ.

**მატარებელი № 4** ბათუმიდან ტფილისში გამოდის 7 საათ. 59 წ. საღ., ტფილისში მოდის 8 ს. 42 წ. დილით.; თბილისიდან ბაქოში გადის დილის 10 ს. 05 წ., ბაქოში მიდის ღამის 5 ს. 16 წ.

**საფოსტო მატარებელი № 74/75** ტფილისიდან ყარსში გადის საღამოს 9 ს., ყარსში ჩადის 12 ს. 56 წ. დღით.

**საფოსტო მატარებელი № 76/77** ყარსიდან ტფილისში გამოდის ნაშუადღ. 3 ს. 29 წ., ტფილისში მოდის დილის 7 ს. 15 წ.

**სახალხო მატარებელი № 5** ბაქოდან ტფილისში გამოდის ნაშუად. 4 ს. 01 წ. ტფილისში მოდის 8 ს. 53 წ. დილ.; ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 32 წ., ბათუმში ჩადის ღამის 9 ს. 01 წ.

**სახალხო მატარებელი № 6** ბათუმიდგან ტფილისში გამოდის დილ. 7 ს. 50 წ.; ტფილისში მოდის საღამოს 7 ს. 15 წ.; ტფილისიდან ბაქოში გადის საღამ. 7 ს. 45 წ., ბაქოში ჩადის შუად. 12 ს. 10 წ.

მატარებელი № 7 ტფილისიდან ბორჯომში გადის დღისით 1 ს. 45 წ., ბორჯომში მიდის 6 ს. 50 წ. საღ.

**მატარებელი № 8** ბორჯომიდან ტფილისში გამოდის 12 ს. 30 წ. ღამ., ტფილისში მოდის დილის 6 ს. 20 წ.

სამტრედიიდან ფოთში სამი სახალხო მატარებელი გადის დღეში: პირველი—ღამის 4 ს. 10 წ., მეორე—დღის 11 ს. 20 წ., მესამე—საღამოს 7 საათ. 26 წ., ფოთში მოდის—პირველი 6 საათ. 19 წ. დილით, მეორე—1 ს. 29 წ. დღ. და მესამე—საღ. 9 ს. 42 წ.

**ფოთიდან** სამტრედიაში გადის ორი მატარებელი: პირველი—ღამის 12 ს. 52 წ., მეორე—8 ს. 49 წ. საღ.; სამტრედიაში მიდის პირველი 3 ს 20 წ. ღამის, მეორე—11 ს. 04 წ. საღ.

სახალხო მატარებელი № 33 რიონიდან ქუთაისს გადის დილის 9 ს.; ქუთაისში მიდის 9 ს. 25 წ.

საგარაკო მატარებელი № 15 ტფილისიდან მცხეთას გადის დილის 7 ს. 19 წ., მცხეთაში მიდის 8 ს.

საგარაკო მატარებელი № 16 მცხეთიდან ტფილისში გამოდის საღ. 9 ს., ტფილისში მოდის საღ. 9 ს. 38 წ.

საგარაკო მატარებელი № 18 გორიდან ტფილისში გამოდის საღ. 6 ს. 46 წ., ტფილისში მოდის 8 ს. 59 წ. საღ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 57 შორაპნიდან ჭიათურაში გადის ღამის 2 ს. 20 წ.. ჭიათურაში მიდის 5 ს. 12 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 58 ჭიათურიდან შორაპანში გადის დილის 9 ს. 48 წ.; შორაპანში მიდის 12 ს. 40 წ. ღამ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 59 შორაპნიდან გადის დღისით 4 ს.; ჭიათურაში მიდის საღ. 6 ს. 52 წ.

სახალხო და საქონლის მატარებელი № 60 ჭიათურიდან შორაპანში გადის 10 ს. 10 წ. საღ.; შორაპანში ჩადის ღამ. 1 ს.

---


წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის

## გამგეობისაგან.

წერილებით, თუ სიტყვით მრავალჯერ გამოცხადებულის საზოგადოების სურვილის თანხმად ამხანაგობის გამგეობამ მოსახერხებლად სცნო, რამდენადაც კი შეიძლება, ფასი დააკლოს მის მიერ გამოცემულ წიგნებს.

**წიგნები გაიყიდება შემდეგ ფასად:**

| | მან. კაპ. |
|---|---|
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი ოთხი ტომი, თითო ტომი ცალკე | 1— » |
| თხზ. ი. დავითაშვილისა სურათით, ბიოგრაფიით და ფაქსიმილეთი | «—50 |
| დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა ლეგენდა-პოემა ბაჩანასი | «—10 |
| ბნელი, მოთხრობა ნ. მელანიასი (პაკვლონიძე) | «—20 |
| თხზულებანი ი. ჭავჭავაძისა, ავტორის სურათით და ფაქსიმილეთი: I ტომი | «—70 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| იგივე III ტომი | «—60 |
| იგივე IV ტომი (ორ წიგნად) | «—80 |
| სოფლის კუნწულა დ. მაჩხანელისა | «—10 |
| თხზულებანი აკაკისა I ტომი | «—60 |
| იგივე II ტომი | «—60 |
| თხზულებანი რ. ერისთავისა I ტომი | «—60 |
| სიბრძნე-სიცრუე საბა-ორბელიანისა | «—40 |
| საქართველო და მისი წარსული დრო პოტოსი | «—20 |
| აივენგო ვოლტერ სკოტისა | «—50 |
| აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში | «—15 |
| სამზარეულო ქართულის და ევროპიულის საჭმელებისა | 1—20 |
| ღვინის დაყენება პროფესორის გ. პეტრიაშვილისა | 1—50 |
| რძე მისივე | 1—50 |
| სიბრძე ბალავარისა | «—30 |
| ცეცხლითა და მახვილითა | «—80 |
| დასტურ-ლამა | «—10 |

ვინც გაიწერს წიგნებს, ფოსტის ხარჯი დაედება წონის მიხედვით გაგზავნის დროს (наложеннымъ платежомъ) წიგნების ფასი 25% წინადვე უნდა იქმნას გაგზავნილი.

წიგნები ამხანაგობის კიოსკში იყიდება, ქ. ტფილისში, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ ფული უნდა გამოგზავნონ შემდეგის ადრესით: Тифлисъ, Грузинское Издательское Товарищество.


---


ქართველთა ამხანაგობის, წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების და კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში ისყიდება

## გლეხი-კაცის ისტორია,

ერკმან-შატრიანისა:

**სრული ისტორია საფრანგეთის დიდი რევოლიუციისა**

| | |
|---|---|
| ნაწილი **I** საერო კრება | 60 კ. |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი **II** სამშობლოს განსაცდელი | 60 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 75 „ |
| ნაწილი **III** წელიწადი პირველი რესპუბლიკისა და ნაწილი **IV** მამულიშვილი ბონაპარტი | 1 მ. 20 „ |
| იგივე კარგ ქაღალდზე | 1 მ. 50 „ |
| ბრჭყალები, დრამა 3 მოქმ. პოლ-ერვიესი | 30 „ |
| ივდითი, ტრაგედია 5 მოქმ. ჯიაკომეტისა | 30 „ |

პირველი ნაწილი ცალკე აღარ იყიდება

გამომც. ზ. ჭიჭინაძე.